საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლების შესახებ

ბოლო რედაქტირებული ვერსია

ქენევა, 2020

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებელი შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობებისა
და მისაწვდომობის საკითხებზე

საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლების შესახებ

ბოლო რედაქტირებული ვერსია

ჟენევა, 2020

მოწონებულია შეზღუდული შესაძლებლობების საერთაშორისო ალიანსისა
და იურისტთა საერთაშორისო კომისიის მიერ

დოკუმენტი ითარგმნა სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მიერ მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის (SDG Fund) ფინანსური მხარდაჭერით.

ჩემი ოფისის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები წარმოადგენენ, ნაწილობრივ მათი საზოგადოებიდან გარიყულობის გამო. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა შშმ პირთა იგნორირება, მათი საჭიროებების უგულებელყოფა და მათი უფლებების უარყოფა. კანონმდებლობა, პროცედურები და პრაქტიკა კვლავ დისკრიმინაციულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ და მართლმსაჯულების სისტემას გადამწყვეტი როლი აქვს ამ მდგომარეობის პრევენციის და დარღვეული უფლებების აღდგენის ეფექტური მექანიზმების უზრუნველყოფის პროცესში, განსაკუთრებით, როდესაც დარღვევები გამოწვეულია უსამართლო კანონისმიერი რეგულაციებით.

მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა სავალდებულო და აუცილებელია დემოკრატიული მმართველობისა და კანონის უზენაესობისთვის, ასევე უთანასწორობასთან და გარიყვასთან საბრძოლველად. გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მიღების შემდეგ შეიქმნა პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა მონაწილეობითი და ადამიანის უფლებების ხედვაზე დაფუძნებული მიდგომებით. საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის შესახებ, შემუშავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ სპეციალური მომხსენებლის კატალინა დევანდას აგილარის ხელმძღვანელობით და ეფუძნება შშმ პირთა კონვენციას. მოხარული ვარ, რომ აღნიშნული პრინციპები არის პირველი სრულყოფილი დამხმარე სახელმძღვანელო პრაქტიკული მითითებებით შშმ პირებისთვის, სხვებთან თანასწორად, მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ.

პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები სასარგებლო იქნება მართლმსაჯულების სისტემის ყველა წარმომადგენლისთვის, ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტების და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, მათ შორის, შშმ პირთა ორგანიზაციებისთვის იმისთვის, რომ გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული კამპანიები, გადამზადების პროგრამები და პროცედურული მისადაგების ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შშმ პირთა უფლებების დაცვა და მართლმსაჯულების პროცესში მათი არსებითი წარმომადგენლობის და მონაწილეობის გაზრდა. ამავე დროს, აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ადმინისტრირების პროცესში შშმ პირების ჩართულობას სხვადასხვა ფუნქციების შესასრულებლად (მაგ. მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული და მოწმე) ისე, როგორც ამას მოითხოვს დემოკრატიის იდეა და რითაც ხელი ეწყობა საზოგადოების ფორმირებას ჩვენს ირგვლივ. მართლმსაჯულების მისაწვდომობის პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები არსებითად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების მიღწევის პროცესში.

ხელმოწერა

მიშელ ბაჩელეტი
გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი

კანონის უზენაესობა – ხალხის და ძალაუფლების სამართლიან პროცესებზე დამორჩილება - წარმოადგენს დემოკრატიის ქვაკუთხედს. მაგრამ, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი დემოკრატიის შენარჩუნებისთვის; სამართლებრივი წესრიგის ფორმირება უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების სკრუპულოზურ პატივისცემას, რომელიც ჩამოყალიბდა დემოკრატიული ერების ისტორიული განვითარების პროცესში, და შედგება მთელი რიგი ფუნდამენტური უფლებებისგან, რომლებიც თავის მხრივ ქმნიან მშვიდობიანი, ინკლუზიური და თანასწორუფლებიანი თანაცხოვრების ხერხემალს.

ამ პრინციპებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი თანასწორობა და ადამიანის ღირსების აბსოლუტური პატივისცემაა, მიუხედავად პირადი, ოჯახური თუ სოციალური გარემოებებისა. ეს არის კანონის წინაშე თანასწორობა, ასაკის, დაბადების, რასობრივი კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობის, სქესის, რელიგიის, მოსაზრების ან სხვა პირადი თუ სოციალური პირობების თუ გარემოებების საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე; და ღირსება დემოკრატიულ სამართლებრივ სისტემაში მიიჩნევა ადამიანის განუყოფელ, თანდაყოლილ ნაწილად, საიდანაც წარმოიშობა ფუნდამენტური უფლებები, ადამიანის თავისუფალ განვითარებასთან ერთად, რაც ხელშეუხებელი და წარუვალია სწორედ იმიტომ, რომ ისინი ფუნდამენტურია.

ამ პრინციპების მხოლოდ ფორმულირება არ არის საკმარისი. ადამიანის უფლებები არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კეთილი განზრახვების ჩვენებით ან რიტორიკული დეკლარირებით, რომელიც მოკლებული იქნება პრაქტიკულ ეფექტურობას. ჭეშმარიტი დემოკრატიული თანაცხოვრება, რომელიც შენარჩუნებულია ყველა ადამიანის თანასწორობისა და ღირსების დაცვით, მოითხოვს აქტიური პოლიტიკის გატარებას საჯარო პოლიტიკის განმახორციელებლებისგან. სამართლებრივმა სისტემამ აბსოლუტური სიცხადით უნდა დაადგინოს ფუნდამენტური უფლებების მინიმალური და აუცილებელი შეზღუდვები, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ისეთი ზომებით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბარიერები, რაც ზღუდავს ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობას და ხელს უწყობს ადამიანთა თანასწორუფლებიანობას.

საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მართლმსაჯულების მისაწვდომობის შესახებ, რომლის წინასიტყვაობის მომზადება ჩემთვის დიდი პატივია, ასახავს იმ დიდ ძალისხმევას, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებების მექანიზმებმა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გასწიეს მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლებაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, არ არსებობს დემოკრატია კანონის უზენაესობის პატივისცემის გარეშე, და არ არსებობს კანონის ნამდვილი პატივისცემა სასამართლო ხელისუფლების გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პრინციპების თანხვედრას. თანასწორობის ხელშეწყობის ვალდებულება, განსაკუთრებით, უზრუნველყოს მართლმსაჯულების მისაწვდომობა ყველასთვის თანაბრად, სასამართლო სისტემას ეკისრება.. დავების გადაჭრის პროცესში მოსამართლეთა მიუკერძოებლობა არ შეიძლება აგვერიოს სოციალური რეალობის ცივ და უგრძნობ ნეიტრალიტეტში, ვინაიდან სწორედ ასეთი რეალობა წარმოადგენს კანონის ინტერპრეტაციის კრიტერიუმს. როგორც მოსამართლეები, ჩვენ უზრუნველვყოფთ კანონთან შესაბამისობას და ამით უზრუნველ-

ვყოფთ დემოკრატიულ თანაცხოვრებას... ჩვენ ასევე ვართ ადამიანის უფლებების საბოლოო გარანტორები. კანონის ინტერპრეტაციის და აღსრულებისას შესაძლებელია და აუცილებელია შედგეს დიალოგი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის, იმ მიზეზების მითითებით, რომლებიც ასაბუთებს საკანონმდებლო რეგულაციების გარკვეულ ცვლილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ასეთ მცირე სივრცეში ყველა იმ ინიციატივის შეჯამება, რასაც გაეროს ადამიანის უფლებების მექანიზმებმა შეუწყო ხელი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მსურს ხაზი გავუსვა შშმ პირების ქმედუნარიანობის სრულად აღიარების კუთხით გაწეულ მნიშვნელოვან ძალისხმევას. ქმედუნარიანობის აღიარების უფლება რეგულირდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-12-ე მუხლით, წინასწარ განწყობების გარეშე და იმ ზომებით, რომლებიც აუცილებელია ამ ქმედუნარიანობის განსახორციელებლად. ამ ბიძგმა გამოხატულება ჰპოვა რიგ სამართლებრივ სისტემებში.

ყველა ადამიანის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, უფლებების პატივისცემა, მათი სრული თანასწორობის და ღირსების დაცვა ცხადყოფს, თუ რა საზოგადოება ვართ და როგორი ვიქნებით მომავალში.

ხელმოწერა

ხუან მანუელ ფერნანდეს მარტინესი
მართლმსაჯულების გენერალური საბჭოს წევრი, ესპანეთი

წინაპირობა

2018 წლის ნოემბერში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა - კატალინა დევანდას აგილერამ, გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისთან (OHCHR) ერთად და ესპანეთის მთავრობის მხარდაჭერით მოიწვია ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ჟენევაში, შშმ პირთა ქმედუნარიანობის და მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლების საკითხზე სამსჯელოდ. ამ შეხვედრის შემდეგ, სპეციალურმა მომხსენებელმა დაიწყო კვლევის განხორციელება სათანადო პრინციპების, ინტერვენციების და სტრატეგიების იდენტიფიცირებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირების ეფექტურ მისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

2020 წლის 21 თებერვალს, სპეციალურმა მომხსენებელმა მოიწვია ექსპერტთა ჯგუფის კიდევ ერთი შეხვედრა ჟენევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის შესახებ საერთაშორისო პრინციპების და სახელმძღვანელო მითითებების მიღების საჭიროებაზე სამსჯელოდ, რომელიც დაეხმარება სახელმწიფოებს ამ სფეროში მათი საერთაშორისო ვალდებულების შესრულებაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტი და გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობის და მისაწვდომობის საკითხებზე აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პროცესში და შეიტანეს საკუთარი წვლილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის შესახებ საერთაშორისო პრინციპების და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებაში. შშმ პირთა ორგანიზაციებთან შედგა კონსულტაციები და ისინი ჩართულნი იყვნენ მთელ პროცესში.

გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 73/177 მიხედვით, გენერალური მდივანი ასამბლეის 75-ე სესიაზე (მომავალი) წარადგენს ანგარიშს უახლესი მოვლენების, გამოწვევების და საუკეთესო გამოცდილების შესახებ ადამიანის უფლებების, მათ შორის შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ მართლმსაჯულების ადმინისტრირების პროცესში. ანგარიშში, შშმ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე, ის იძლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის შესახებ საერთაშორისო პრინციპების და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავების რეკომენდაციას, რათა დაეხმაროს სახელმწიფოების ძალისხმევას ამ საკითხზე. ამ სახელმძღვანელო მითითებების შემუშავების კუთხით გაწეული ძალისხმევა აღიარებულია ანგარიშში.

პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები მოწონებულია იურისტთა საერთაშორისო კომისიის და შეზღუდული შესაძლებლობის საერთაშორისო ალიანსის მიერ.

ყველას აქვს უფლება, სხვებთან თანასწორად, ისარგებლოს კანონის წინაშე თანასწორობის, თანაბარი დაცვის, დავის სამართლიანი გადაწყვეტის, მონაწილეობის და აზრის გამოხატვის უფლებით. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი მისაწვდომობა ყველა აუცილებელი, მატერიალური და საპროცესო, ასევე ასაკსა და გენდერზე ორიენტირებული მისადაგების და მხარდაჭერის ზომების უზრუნველყოფის გზით. პრინციპების და სახელმძღვანელო მითითებების მიზანია დაეხმაროს სახელმწიფოებს და სხვა მონაწილეებს შექმნან, განავითარონ, შეცვალონ და აღასრულონ მართლმსაჯულების სისტემები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე, პროცესში მათი როლის მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესაბამისად.

კონვენციის მე-12-ე და მე-13-ე მუხლები წარმოადგენს გარდამტეხ ცვლილებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ავტონომიის სამართლებრივი აღიარების გზაზე. კონვენცია უარყოფს შეზღუდული შესაძლებლობის ისტორიულად დამკვიდრებულ აღქმას, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ართმევს ნებისმიერ საშუალებას გამოხატოს საკუთარი ნება და სურვილები, რაც ბევრ ქვეყანაში ეფექტურად იქნა გამოყენებული მათთვის სხვებთან თანასწორად მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის და საპროცესო გარანტიების შესაზღუდად. კონვენციის მე-12-ე მუხლის (კანონის წინაშე თანასწორობა) და მე-13-ე მუხლის (მართლმსაჯულების მისაწვდომობა) შესახებ ძირითადი დებულებების მიხედვით სახელმწიფოები ვალდებულნი არიან:

(ა) აღიარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქმედუნარიანობა სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, ცხოვრების ყველა სფეროში;

(ბ) მიიღონ სათანადო ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასახმარებლად, რომელიც შეიძლება დასჭირდეთ ქმედუნარიანობის უფლების განხორციელების მიზნით;

(გ) უზრუნველყონ, რომ ქმედუნარიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ზომა ითვალისწინებდეს შესაბამის და ეფექტურ გარანტიებს მათი ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით, მათ შორის, აღნიშნული ზომები უნდა განხორციელდეს შშმ პირის უფლებების პატივისცემის, მათი ნების და არჩევანის თავისუფლების დაცვით;

(დ) უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულებაზე ეფექტური მისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, მათ შორის, პროცედურული და ასაკთან შესაბამისი მოდიფიცირების გზით, იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ შშმ პირთა, როგორც მოწმეთა და სხვა როლში მყოფთა პირდაპირ და ირიბ მონაწილეობას ყველა სამართლებრივ პროცესში, მათ შორის, გამოძიების თუ სხვა სამართლებრივი მოკვლევის ეტაპზე.

მაშინ როდესაც მართლმსაჯულების მისაწვდომობა ადამიანის უფლებების აღსრულებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, ბევრი წინაღობა არსებობს, რომელიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარ მონაწილეობას მართლმსაჯულების პროცესში. ასეთ ბარიერებს შორისაა ქმედუნარიანობის შეზღუდვა; მართლმსაჯულების ინსტიტუტებზე, როგორიცაა სასამართლოები და პოლიციის განყოფილებები, ფიზიკური წვდომის შეზღუდვა; ამ ინსტიტუტებთან მისასვლელ და წამოსასვლელ ტრანსპორტზე წვდომის შეზღუდვა; პრობლემები იურიდიული დახმარების და წარმომადგენლობის მისაწვდომობაზე; მისაწვდომი ფორმით ინფორმაციის არარსებობა; მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობის შესახებ პატერნალისტური ან ნეგატიური დამოკიდებულება, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს შშმ პირთა პროცესებში მონაწილეობის უნარის საკითხს და მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალების ცოდნის ნაკლებობა. მართლმსაჯულების სიტემაში მიიჩნევა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ვერ შეძლებენ ისარგებლონ ან შესაძლოა მათ ზიანი მიადგეთ სამართლიანი პროცესების გამოყენებით, რომლითაც სარგებლობენ ყველა სხვა მოქალაქეები. ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა დუმილის უფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება პირდაპირ კანონით ან სახელმწიფო პოლიტიკით შეიზღუდოს ან არაპირდაპირ ტრადიციებით და პრაქტიკით. რისკები უკიდურესად მაღალია - მაგალითად, ტყუილი ჩვენება, მცდარი ვერდიქტი და თავისუფლების უკანონო აღკვეთ,ა რაც აზიანებს შშმ პირს.

მართლმსაჯულების სისტემები ასახავენ იმ საზოგადოების ღირებულებებს, რომელშიც ისინი არსებობენ. მართლმსაჯულების სისტემასთან და სამართალდამცავ უწყებებთან ურთიერთობის დროს, პირი შეიძლება აღმოჩნდეს ინდივიდუალური და სისტემური მიკერძოების, რასიზმის და სტრუქტურული უთანასწორობის პირისპირ მრავალი საფუძვლით.

ვაღიარებთ რა, რომ ამ ურთიერთდაკავშირებული ცვლადების ერთმანეთისგან დაცალკევება შეუძლებელია და საჭიროა მათზე ერთიანად ზეგავლენის მოხდენა, პრინციპებში და სახელმძღვანელო მითითებებში ასახულია მართლმსაჯულებაზე არათანაბარი წვდომის საკითხი, რაც დაკავშირებულია იმ მიკერძოებასთან და სტიგმასთან, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით არსებობს და ამ საკითხის გააზრების სიმწირესთან მართლმსაჯულების სისტემაში. სისხლის სამართლის საქმეებში ეჭვმიტანილების და ბრალდებულების კონტექსტში, არასწორი ბრალეულობა შეიძლება დადგეს ცრუ აღიარებითი ჩვენების, მცდარი იდენტიფიცირების და თანამდებობის პირთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შედეგად, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს შშმ პირებზე ზეწოლით, ინფორმაციის ნაკლებობით ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხრიდან პროცესების გაგების სირთულით. მაშინ, როდესაც სასამართლო დარბაზების მოწყობა და სამართალწარმოების ფორმალური და ტექნიკური ენა იწვევს ნებისმიერი პირის, რომელსაც არ აქვს შესაბამისი ცოდნა, გაუცხოებას, ეს გამოცდილება კიდევ უფრო რთულდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ფიზიკური და სხვა სახის წინაღობების არსებობის გამო. შშმ პირმა შეიძლება არ იცოდეს და არ ესმოდეს სამართლებრივი ნაბიჯების და მოქმედებების შედეგები და ვერ აფასებდეს სათანადოდ დროული მოქმედების მნიშვნელობას. შშმ მომჩივნები და მსხვერპლები დგანან იმ რისკის წინაშე, რომ მათ ჩვენებას არ მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა, რაც იწვევს შშმ პირე-

ბის მიმართ დანაშაულის ჩამდენი პირების დაუსჯელობას. შესაბამისად, პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები მნიშვნელოვანია შშმ პირებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

პრინციპების და სახელმძღვანელო მითითებების მიზანი არა მართლმსაჯულების კონკრეტული სისტემის დეტალური ახსნა, არამედ თანამედროვე მიდგომებზე და რეალურ გამოცდილებაზე კონსენსუსის მიღწევაა. მათი მიზანია ზოგადად მისაღები, საუკეთესო პრაქტიკის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების თანაბარ და სამართლიან მისაწვდომობას დისკრიმინაციის გარეშე ისე, როგორც ეს დადგენილია კონვენციის მე-13 მუხლით და სხვა შესაბამისი დებულებებით. პრინციპების და სახელმძღვანელო მითითებების შესრულების დროს, სახელმწიფოები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი და უნდა უპასუხონ მართლმსაჯულების მისაწვდომობის მრავალ და ინტერსექტორულ დისკრიმინაციას. კონვენციით დადგენილი ვალდებულებების შესაბამისად, ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა ამ პროცესში მჭიდროდ ითანამშრომლონ შშმ პირებთან და მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან და აქტიურად ჩართონ ისინი.

სახელმწიფოს ვალდებულებები ვრცელდება ყველა სახის სამართალწარმოებაზე (სამოქალაქო, სისხლი და ადმინისტრაციული), მიუხედავად დავის გადაჭრის ადგილის და პროცესისა. ვალდებულებები ვრცელდება გამოძიების მიმდინარეობის, დაკავების და სხვა წინა სასამართლო ეტაპების დროს, ასევე სასამართლო განხილვის ეტაპების დასრულების და დარღვეული უფლების სათანადო კომპენსირების ეტაპზეც. შესაბამისად, პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები საჭიროა როგორც კანონმდებლებისთვის, პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების, სასამართლო ხელისუფლების, სამართალდამცავი უწყებების და სასჯელაღსრულების სისტემის წარმომადგენლებისთვის, ასევე შშმ პირების და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციებისთვის. როგორც წესი, ისინი ვრცელდება სამართალწარმოების პროცესში პირდაპირ და არაპირდაპირ მონაწილე ყველა პირზე, მათ შორის ეჭვმიტანილზე, დაკავებულზე, ბრალდებულზე, მომჩივანზე, მსხვერპლზე, ნაფიც მსაჯულებზე, სასამართლო ხელისუფლების და სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებზე, მოწმეებზე.

მსოფლიოში არსებული მრავალფეროვანი სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული სისტემების მიუხედავად, სახელმწიფოებს შეუძლიათ და უნდა მოიყვანონ მათი კანონმდებლობა, წესები, რეგულაციები, სახელმძღვანელო მითითებები, პროტოკოლები, პრაქტიკა და პოლიტიკა პრინციპებთან და სახელმძღვანელო მითითებებთან შესაბამისობაში. პრინციპების და სახელმძღვანელო მითითებების მიზანი არ არის ინოვაციებისთვის ხელის შეშლა თუ გარანტირებულია ინოვაციების შესაბამისობა კონვენციასთან და პრინციპებთან და სახელმძღვანელო მითითებებთან და ის უზრუნველყოფს მართლმსაჯულებასთან თანასწორ მისაწვდომობას ყველასთვის. არ შეიძლება, რომ პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები განხილულ იქნეს, როგორც სხვა საერთაშორისო, რეგიონული ან ეროვნული კანონმდებლობის ან სტანდარტების შემზღუდავი, რომელიც უფრო მეტად უწყობს ხელს შშმ პირების მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა სარგებლობდნენ ადრე მიღებული საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებების ინსტრუმენტებით, რომელიც

ეხება დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის საფუძველზე, მართლმსაჯულების სისტემას, მართლმსაჯულების მისაწვდომობას და უფრო ფართოდ კი მართლმსაჯულების ადმინისტრირებას. ზოგიერთი ეს სტანდარტი განხილულია მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

ჟენევა, აგვისტო 2020

ხელმოწერა

კატალინა დევანდას აგილერა
სპეციალური მომხსენებელი შშმ პირების უფლებების საკითხზე

დანლამი ბაშარუ
შშმ პირთა უფლებების კომიტეტის თავმჯდომარე

მარია სოლედად გისტერნას რეიესი
შშმ და მისაწვდომობის საკითხებზე გენერალური მდივნის საგანგებო დესპანი

პირველად რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირები (First Responders): პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ გადაუდებელი სიტუაციის ან კრიზისის ადგილას დახმარების უზრუნველსაყოფად, როგორებიც არიან პოლიციის ოფიცრები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ან კრიზისების მართვის თანამშრომლები.

შუამავლები (ასევე ისინი ცნობილნი არიან როგორც „ფასილიტატორები"): პირები, რომლებიც მუშაობენ მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლებთან და შშმ პირებთან, მათ შორის სამართალწარმოების პროცესში ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად. ისინი ეხმარებიან შშმ პირებს გაიგონ და გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი, დარწმუნდნენ, რომ მათ მიიღეს შესაფერისი მხარდაჭერა და დეტალური განმარტება მათთვის გასაგები ფორმით. შუამავლები ნეიტრალური პირები არიან და ისინი არ საუბრობენ შშმ პირის ან მართლმსაჯულების სისტემის სახელით, ისინი ასევე არ ხელმძღვანელობენ პროცესს და არ ახდენენ ზეგავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და შედეგზე.

ქმედუნარიანობა: უნარი გაგაჩნდეს უფლებები და ახორციელებდე მათ. პირის ქმედუნარიანობა უზრუნველყოფს პირის უფლებების სრულფასოვან დაცვას სამართლებრივი სისტემის ფარგლებში. ქმედუნარიანობა, იმოქმედო კანონის შესაბამისად, პირს აღიარებს, უფლებების განხორციელების, სამართლებრივი ურთიერთობების დაწყების, შეცვლის ან გაუქმების მთავარ მოქმედ პირად.[1]

მონიტორინგის მექანიზმი: ასეთი მექანიზმები მოიცავს ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 33(2)-ე მუხლით დადგენილ სტრუქტურულ ერთეულებს, რომელთაც აქვთ კონკრეტული როლი კონვენციის აღსრულების მონიტორინგის პროცესში. სახელმწიფოებს ასევე აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ შშმ პირები ყველა სერვისით, მათ შორის, მართლმსაჯულების სისტემაში ისე, რომ ისინი დაცული იყვნენ ექსპლუატაციის, ძალადობის, შეურაცხყოფისგან დამოუკიდებელი ინსტიტუტების ეფექტური ზედამხედველობით, როგორც ეს დადგენილია კონვენციის მე-16(3) მუხლით.

გონივრული მისადაგება: შშმ პირთა უფლებების, სხვების თანასწორად დაცვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ყველა აუცილებელი და შესაბამისი ცვლილებების და შესწორებების განხორციელება, რომლებიც არ მოითხოვს არაპროპორციულ და გაუმართლებელ ტვირთს.[2]

1 შშმ პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #1 (2014) კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ; პარაგრაფი 12

2 შშმ პირთა უფლებების კონვენცია; მუხლი 2.

პროცედურული მისადაგება: მართლმსაჯულების პროცესში, შშმ პირთა სრული მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭირო სათანადო პროცედურული ცვლილებების უზრუნველყოფა. გონივრული მისადაგებისგან განსხვავებით, პროცედურული მისადაგებაზე უარი დაუშვებელია "არაპროპორციული ან გაუმართლებელი ტვირთის" კონცეფციით.[3]

შშმ პირების წარმომადგენლობითი ორგანიზაციები: ორგანიზაციები, რომელსაც ხელმძღვანელობენ და მართავენ შშმ პირები. მათი შექმნის ძირითადი მიზანია იმოქმედონ ერთობლივად, შშმ პირების უფლებების გამოხატვის, წახალისების, განხორციელების და/ან დაცვისთვის.[4]

ნების ჩანაცვლება გადაწყვეტილების მიღების დროს: როდესაც პირს წართმეული აქვს ქმედუნარიანობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მხოლოდ ერთ სფეროსთან მიმართებით ხდება; ან ინიშნება მეურვე (მაგ. წარმომადგენელი პროცესებში, ადვოკატები ან ექსპერტები) შშმ პირის ნების საწინააღმდეგოდ; ან გადაწყვეტილება მიიღება მეურვის მიერ შშმ პირის „საუკეთესო ინტერესებიდან" გამომდინარე და არა ამ პირის სურვილების შესაბამისად.[5]

უნივერსალური დიზაინი: ისეთი პროდუქტების, მოწყობილობების, პროგრამების და მომსახურებების შექმნას, რომელთა გამოყენებასაც ყველა შეძლებს, ყველანაირ პირობებში, ადაპტაციის ან სპეციალური დიზაინის გამოყენების საჭიროების გარეშე.[6]

3 A/HRC/34/26, პარაგრაფი 35.

4 შშმ პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 7 (2018) კონვენციის აღსრულებასა და მონიტორინგის პროცესში შშმ პირების, მათ შორის შშმ ბავშვების მონაწილეობა, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით; პარაგრაფი 11.

5 ზოგადი კომენტარი No. 1, პარაგრაფი 27,

6 შშმ პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2.

საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის შესახებ

პრინციპი 1

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირი ქმედუნარიანია. შესაბამისად, არავის შეიძლება ეთქვას უარი მართლმსაჯულების მისაწვდომობაზე შეზღუდული შესაძლებლობის საფუძვლით.

პრინციპი 2

მართლმსაჯულებაზე თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შენობები და სერვისები უნდა იყოს უნივერსალურად მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

პრინციპი 3

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის, ბავშვები სარგებლობენ პროცედურული მისადაგების უფლებით.

პრინციპი 4

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვებთან თანასწორად, აქვთ უფლება დროულად და მისაწვდომი ფორმით მიიღონ სასამართლო შეტყობინებები და ინფორმაცია.

პრინციპი 5

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სხვებთან თანასწორად, სარგებლობენ ყველა მატერიალური და პროცედურული დაცვის ზომებით, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლით და სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საჭირო მისადაგება სათანადო სამართლიანი პროცესის რეალიზებისთვის.

პრინციპი 6

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ უფლება ისარგებლონ უფასო ან შეღავათიანი იურიდიული დახმარებით.

პრინციპი 7

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვებთან თანასწორად, აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში.

პრინციპი 8

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ უფლება წარადგინონ საჩივრები და დაიწყონ სამართლებრივი პროცედურები ადამიანის უფლებების დარღვევაზე და დანაშაულზე, მოითხოვონ მათი საჩივრების განხილვა ეფექტური დაცვის საშუალებების გამოყენებით.

პრინციპი 9

ეფექტურ და ქმედით მონიტორინგის მექანიზმს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლების რეალიზებაში.

პრინციპი 10

მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე ყველა პირმა უნდა გაიაროს ცნობიერების ამაღლების და გადამზადების პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, მართლმსაჯულებაზე თანაბარ მისაწვდომობაზე განსაკუთრებული აქცენტით.

პრინციპი 1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირი ქმედუნარიანია. შესაბამისად, არავის შეიძლება ეთქვას უარი მართლმსაჯულების მისაწვდომობაზე შეზღუდული შესაძლებლობის საფუძვლით

სახელმძღვანელო მითითება

1.1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შშმ პირების მიერ ქმედუნარიანობით სხვების მსგავსად სარგებლობა და საჭიროების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყონ მხარდაჭერა და მისადაგება რომელიც აუცილებელია ქმედუნარიანობით სარგებლობისთვის და მართლმსაჯულების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

1.2. ამისათვის, სახელმწიფოებმა უნდა:

(ა) უზრუნველყონ, რომ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი განიხილებოდეს ქმედუნარიანად, ჰქონდეთ შესაბამისად მოქმედების და ქმედუნარიანობის რეალიზების უფლება.

(ბ) აღიარონ შშმ პირების სრული ქმედუნარიანობა და შესაბამისად მათი უფლება მონაწილეობა მიიღონ სასამართლოს, ტრიბუნალის და დავის განხილვის ყველა პროცესში.

(გ) უზრუნველყონ, რომ კონცეფციები, როგორიცაა „ინტელექტუალური/გონებრივი შეფერხება“ როგორც ფუნქციური ან მენტალური სტატუსის შეფასება, არ იყოს გამოყენებული ადამიანის ქმედუნარიანობის უფლების შეზღუდვისთვის;

(დ) გააუქმონ ან შეცვალონ ყველა კანონი, რეგულაცია, პოლიტიკის დოკუმენტი, სახელმძღვანელო მითითება და პრაქტიკა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზღუდავს შშმ პირების მათ შორის, ისეთები, რომლებიც ჩანაცვლებით გადაწყვეტილების მიღების უფლებას იძლევიან და ისეთები, რომლებიც ქმედების განსახორციელებლად მოითხოვენ პირის „საღ გონებაზე“ ყოფნას და შესაბამისად გამორიცხავენ შშმ პირების მართლმსაჯულებაზე თანაბარ მისაწვდომობას.

(ე) გააუქმონ ან შეცვალონ ყველა კანონი, რეგულაცია, პოლიტიკის დოკუმენტი, სახელმძღვანელო მითითება და პრაქტიკა რომელიც ადგენს და იყენებს ისეთ დოქტრინებს, როგორიცაა „სასამართლოს წინაშე უშუალოდ წარდგენის და ჩვენების მიცემის უნარის არქონა“, რომლებიც შშმ პირებს სამართლებრივ პროცესებში მონაწილეობის უფლებას უზღუდავს.

(ვ) გააუქმონ ან შეცვალონ ყველა კანონი, რეგულაცია, პოლიტიკის დოკუმენტი, სახელმძღვანელო მითითება და პრაქტიკა რომელიც ზღუდავს და გამორიცხავს შშმ მოწმეებს სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემისგან მათ მიერ ჩვენების მიცემის უნარის შეფასების საფუძველზე.

(ზ) გააუქმონ ან შეცვალონ ყველა კანონი, რეგულაცია, პოლიტიკის დოკუმენტი, სახელმძღვანელო მითითება და პრაქტიკა, რომელიც სამედიცინო

პერსონალს ანიჭებს უფლებას ან სხვაგვარად უფლებამოსილს ხდის ადამიანის გადაწყვეტილების მიღების უნარისა და ჩვენების მიცემის შესაძლებლობის, ან სხვა რაიმეს შეფასების ერთადერთი ან მთავარი „ექსპერტები“ იყვნენ.

(თ) გააუქმონ ან შეცვალონ ყველა კანონი, რეგულაცია, პოლიტიკის დოკუმენტი, სახელმძღვანელო მითითება და პრაქტიკა, რომელიც ხელს უშლის შშმ პირებს აღძრან სარჩელი და სამართლებრივად იდავონ.

(ი) შექმნან ქმედითი და აღსრულებადი უფლება, მიიღონ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პროცედურული მისადაგება, მათ შორის, მხარდაჭერა, რაც აუცილებელია შშმ პირებისთვის სასამართლოში, ტრიბუნალსა თუ დავის განმხილველ სხვა ადგილას სამართალწარმოებაში ეფექტურად მონაწილეობისთვის;

(კ) უზრუნველყონ შუამავლები ან ფასილიტატორები, მაშინ და როდესაც ეს საჭიროა სასამართლოს, ტრიბუნალს და სამართალდამცავ ორგანოებს და შშმ პირებს შორის ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობისთვის იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამართალწარმოების პროცესში შშმ პირთა უსაფრთხო, სამართლიანი და ეფექტური ჩართულობა და სრულყოფილი მონაწილეობა;

(ლ) უზრუნველყონ იმ პირთა უფლება, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო ქმედუუნაროდ იყვნენ ცნობილნი, გაასაჩივრონ ან სხვა ფორმით აღიდგინონ საკუთარი ქმედუნარიანობა და ჰქონდეთ წვდომა იურიდიულ მომსახურებაზე სასამართლოში საქმის წარმოებისთვის;

(მ) უზრუნველყონ მართლმსაჯულების ალტერნატიული მექანიზმების შექმნა ან/და მხარდაჭერა, როგორიცაა აღდგენითი მართლმსაჯულება, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები, მართლმსაჯულების კულტურული და სოციალური ფორმები და დავის განხილვის ადგილები, რომელიც მისაწვდომი იქნება შშმ პირებისთვის სხვებთან თანასწორად;

(ნ) გააუქმონ ან შეცვალონ ყველა კანონი, რეგულაცია, პოლიტიკის დოკუმენტი, სახელმძღვანელო მითითება და პრაქტიკა, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც სამართლიანი პროცესის გარეშე უსჯიან შშმ პირებს პატიმრობას, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ან სხვა ინსტიტუციაში განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ყოფნას (ხშირად მათ უწოდებენ „მზრუნველობის საფუძვლით ჰოსპიტალიზაციას“, „უსაფრთხოების ზომებს“) საშიშროების ან ზრუნვის საჭიროების საფუძველზე.

პრინციპი 2. მართლმსაჯულებაზე თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შენობები და სერვისები უნდა იყოს უნივერსალურად მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე

სახელმძღვანელო მითითება

2.1 მართლმსაჯულებაზე თანაბარი მისაწვდომობის და დისკრიმინაციის აკრძალვის მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით, მართლმსაჯულების სისტემაში მოქმედი შენობების და არსებული მომსახურების შექმნა, განვითარება და უზრუნველყოფა და მინიმუმ შემდეგი მოქმედებების განხორციელებით:

(ა) კანონების, რეგულაციების, პოლიტიკის დოკუმენტების, სახელმძღვანელო მითითებების და პრაქტიკის დადგენა და აღსრულება, რომელიც გარანტირებულად უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სისტემაში მოქმედი ყველა შენობის და სერვისების მისაწვდომობას, უნივერსალური დიზაინის პრინციპის გათვალისწინებით, მათ შორის:

(i) სასამართლოები, პოლიციის დაწესებულებები, ციხეები, დაკავების და ექსპერტიზის დაწესებულებები, ნაფიც მსაჯულთა შენობები, ადმინისტრაციული ოფისები და სხვა მსგავსი ადგილები (მათ შორის ამ ადგილებში არსებული საპირფარეშოები, პატიმრის სამყოფი ადგილები (საკნები), ოფისები, შესასვლელები, ლიფტები, კაფეტერიები და რეკრეაციული სივრცეები);

(ii) ინფორმაცია, კომუნიკაცია და სხვა სერვისები, მათ შორის ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები და სისტემები;

(ბ) მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ყველა სატრანსპორტო საშუალების მისაწვდომობის უზრუნველყოფა;

(გ) უზრუნველყოს ადეკვატური ფინანსური რესურსების მობილიზება იმისთვის, რომ მართლმსაჯულების სისტემა გახდეს ფიზიკურად მისაწვდომი შშმ პირებისთვის უნივერსალური დიზაინის პრინციპის მიხედვით;

(დ) პროცედურული მისადაგების განხორციელება მაშინ, როდესაც შენობები და სერვისები ვერ უზრუნველყოფენ არსებული ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციის და კომუნიკაციის მისაწვდომობას შშმ პირებისთვის.

პრინციპი 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის, ბავშვები, სარგებლობენ შესაფერისი პროცედურული მისადაგების უფლებით

სახელმძღვანელო მითითება

3.1 დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით და შშმ პირების ყველა სამართლებრივ პროცედურაში ეფექტური და თანასწორი მონაწილეობის გარანტირებისთვის, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შშმ პირებისთვის გენდერის და ასაკის შესაბამისი, ინდივიდუალური პროცედურული მისადაგება. ის უნდა მოიცავდეს ყველა საჭირო და შესაფერის რეგულირებას და ცვლილებას (მათ შორის, შუამავლის, ფასილიტატორის ჩართვა, პროცედურის ცვლილება, გარემოს ცვლილება, კომუნიკაციის ალტერნატიული გზებით დამყარება და სხვა), რომელიც აუცილებელია კონკრეტულ საქმეში შშმ პირებისთვის მართლმსაჯულების სრული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

3.2 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სხვადასხვა სახის პროცედურული მისადაგება და ასევე უნდა უზრუნველყონ ამ მისადაგების აღსრულება ისე, რომ სწორად მოხდეს პროცესის მონაწილე ყველა მხარის უფლებების დაბალანსება და პატივისცემა, მათ შორის:

დამოუკიდებელი შუამავლები და ფასილიტატორები

(ა) დამოუკიდებელი შუამავლის ან ფასილიტატორის პროგრამის შემუშავება, დაფინანსება და აღსრულება, რომლებიც გადამზადებულნი არიან კომუნიკაციის უნარებში და სამართალწარმოების სრულ პროცესში კომუნიკაციით უზრუნველყოფისთვის, დაეხმარებიან მხარეებს და მართლმსაჯულების სისტემის მისადაგებისა და მხარდაჭერის საჭიროებისა და ტიპის განსაზღვრაში;

(ბ) ადგილობრივი პროცედურებისა და ჩვეულებების, ისევე როგორც, **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების** კონვენციასთან შესაბამისი, დამოუკიდებელი შუამავლის ან ფასილიტატორის პროგრამის შემუშავება;

პროცედურული ცვლილებები

(გ) სამართლებრივ პროცესებში შშმ პირთა მოსმენის იმგვარი პროცედურებისშემუშავებარომელიც უზრუნველყოფს შშმ პირების, მათ შორის, ბავშვების მიმართ სამართლიან მოპყრობას და მათ სრულფასოვან მონაწილეობას. პროცედურული ცვლილებები შეიძლება იყოს, მაგალითად:

(i) ადგილის ადაპტირება;

(ii) შესაფერისი მოსაცდელი სივრცეები;

(iii) მანტიის და პარიკის მოხსნა;

(iv) პროცესის ტემპის ცვლილება;

(v) შენობაში ცალკე შესასვლელი და მოსაცდელი ოთახები და დამცავი ეკრანები, რომლებიც შშმ პირებს გამოაცალკევებენ სხვებისგან, საჭიროების შემთხვევაში, მათთვის ფიზიკური ან ემოციური სტრესის ასარიდებლად;

(vi) დაკითხვის მეთოდების მოდიფიცირება, როგორიცაა მიმანიშნებელი შეკითხვების დაშვება, რთული კითხვების არიდება, კომპლექსური ჰიპოთეტური შეკითხვის ალტერნატივის მოძიება, დამატებითი დროის მიცემა პასუხისთვის, შესვენების დაშვება და მარტივი ენის გამოყენება;

(vii) აუცილებლობის, პრაქტიკულობის და შესაძლებლობის შემთხვევაში, სასამართლო განხილვებამდე გაკეთებული ჩვენებებისა და მტკიცებულებების ვიდეო ჩანაწერების გაკეთება იმგვარად, რომ არ მოვიდეს წინააღმდეგობაში ძირითად უფლებებთან, როგორიცაა მოწმესთან ბრალდებულის დაპირისპირების და მისი ჯვარედინი დაკითხვის უფლება.

(დ) შშმ პირებისთვის უფლების მიცემა, თან იყოლიონ ოჯახის წევრი, მეგობარი ან სხვა პირი პროცესის ყველა ეტაპზე, თუ ისინი ამას საჭიროდ ჩათვლიან, ემოციური და მორალური მხარდაჭერის მისაღებად. ამან არ უნდა ჩაანაცვლოს შუამავლის ან ფასილიტატორის როლი.

მხარდაჭერა კომუნიკაციაში

(ე) მართლმსაჯულების სისტემაში იმის გათვალისწინება, რომ ყველა პროცესი უზრუნველყოფდეს მხარეებისთვის, მოწმეებისთვის, მოსარჩელეებისთვის, განსასჯელებისა და ნაფიცი მსაჯულებისთვის კომუნიკაციისთვის საჭირო ტექნიკურ და სხვა სახის მხარდაჭერას, რაც საჭიროა მათი სრულფასოვანი ჩართულობისთვის, მათ შორის:

(i) სმენის დამხმარე სისტემები და აპარატურა;

(ii) ღია, დახურული, რეალურ დროში გადაღება და ტიტრების დეკოდერი ან ხელსაწყო სმენის არმქონე პირისთვის;

(iii) ხმაზე, ტექსტზე და ვიდეოზე დაფუძნებული ტელეკომუნიკაციის პროდუქტები;

(iv) ვიდეო ტექსტის განთავსება;

(v) კომპიუტერის დახმარებით რეალურ დროში ტრანსკრიპციის გაკეთება;

(vi) ეკრანის წამკითხველი პროგრამა, გამადიდებელი პროგრამა და ოპტიკური წამკითხველი;

(vii) ვიდეო აღწერილობა და მეორადი სასმენი პროგრამა რომელიც იჭერს ხმოვან სიხშირეს სატელევიზიო პროგრამებისთვის;

(ვ) კომუნიკაციის მხარდაჭერა, შუამავლებთან და ფასილიტატორებთან ერთად, მესამე მხარის გამოყენებით, მათ შორის:

(i) სხდომის მდივნები;

(ii) ჟესტური ენის კვალიფიციური მცოდნე და ზეპირი თარჯიმნები;

(iii) ტელეფონით კომუნიკაციის მომსახურება (relay services);

(iv) ტაქტილური კომუნიკაციის თარჯიმანი.

(ზ) იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა თარჯიმანმა შეძლოს ეფექტურად, სწორად და მიუკერძოებლად თარგმნა, როგორც რეცეპტიულად (მაგ. შშმ პირის საუბრის გაგება) ისე ექსპრესიულად (მაგ. შესაბამისი უნარი ინფორმა-

ცია გადასცე შშმ პირებს), საჭირო სპეციალური ლექსიკონის გამოყენებით (მაგ. სამედიცინო ან იურიდიული) და პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით და პატივისცემით;

დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის, პატიმრის და დაკავებული პირისთვის პროცედურული მისადაგება

(თ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებაში და დამნაშავის დაკავებაში მონაწილე პოლიციის ოფიცრის, პროკურორის და სხვა პირებისთვის შშმ პირების უფლებებზე ცოდნის უზრუნველყოფა, მათ მიერ ყურადღების გამახვილება პირის შესაძლო შეზღუდულ შესაძლებლობაზე და დაკავების ან გამოძიების დროს მათი მოქმედების შესაბამისობაზე;

(ი) დამოუკიდებელი მესამე პირების, როგორებიც არიან ადვოკატები და სხვები, თანხლების უზრუნველყოფა შშმ პირისთვის პოლიციის განყოფილებაში, გამოძიების პროცესში დახმარების მიზნით, მათ შორის, თითის ანაბეჭდების აღების ან ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესში დასახმარებლად, და ასევე შუამავლების ან ფასილიტატორების ჩართვა შშმ პირებსა და სასამართლო/სამართალდამცავი ინსტიტუტების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად;

(კ) იმ ბარიერების გაუქმება, რომელიც ხელს უშლის შშმ პატიმრებს და დაკავებულ პირებს გაასაჩივრონ საკუთარი პატიმრობა და მოითხოვონ პატიმრობის პირობების გაუმჯობესება. მაგალითად, კანონმდებლობით მიენიჭოს სარჩელის აღძვრის უფლება პატიმრების უფლებების დამცველ და შშმ პირების წარმომადგენლობით ორგანიზაციებს. გამარტივდეს გასაჩივრების პროცედურები, შემცირდეს გადაწყვეტილების გამოტანის ვადები, შეიქმნას უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმები.

მისადაგების მოთხოვნა და შეთავაზება

(ლ) ისეთი კანონების, რეგულაციების, პოლიტიკის დოკუმენტების, სახელმძღვანელო მითითებების, პრაქტიკის და პროცედურების შემუშავება და აღსრულება, რომელიც შშმ პირებს საშუალებას აძლევს მოითხოვონ პროცედურული მისადაგება, მათ შორის, სამართლებრივ პროცედურებში ცვლილებების შეტანა და მხარდაჭერა მათი კონფიდენციალობის სათანადო დაცვით;

(მ) სამართლებრივი პროცედურების განხორციელების დროს, ყველა მონაწილისთვის რჩევის მიცემა საჭიროების და სურვილის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის საფუძვლით პროცედურული მისადაგების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ;

(ნ) შშმ ბავშვებისთვის პროცედურული მისადაგების საჭიროების განსაზღვრის და უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა, მათ შორის, კომუნიკაციაში დახმარება და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა მათი შესაძლებლობების და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის უფლების გათვალისწინებით.

პრინციპი 4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვებთან თანასწორად, აქვთ უფლება დროულად და მისაწვდომი ფორმით მიიღონ სამართლებრივ პროცესებზე შეტყობინებები და ინფორმაცია

სახელმძღვანელო მითითება

4.1 დროული და მისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფისთვის, სახელმწიფოებმა უნდა:

(ა) მიიღონ ეფექტური კანონები, რეგულაციები, პოლიტიკის დოკუმენტები და სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც სრულად აღიარებენ დროული შეტყობინების და ინფორმაციის მიღების უფლებას მართლმსაჯულების პროცესის ყველა ასპექტის შესახებ;

(ბ) მართლმსაჯულების სისტემის და პროცედურების შესახებ ინფორმაციაზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა მეთოდებით უნდა იყოს გარანტირებული მათ შორის, საჭიროებების გათვალისწინებით:

(i) ჟესტური ენა;

(ii) ვიდეო და აუდიო სახელმძღვანელოები;

(iii) სატელეფონო კონსულტაცია და რეფერირების სერვისები;

(iv) მისაწვდომი ვებგვერდები;

(v) ინდუქციური მარყუჟი (Induction Loop), რადიო ან ინფრაწითელი სისტემები (infrared system);

(vi) გაფართოების დანადგარები და დოკუმენტის გამადიდებელი;

(vii) დაფარული სუბტიტრები;

(viii) ბრაილი;

(ix) მარტივად წასაკითხი და მარტივი ენა;

(x) კომუნიკაციის ფასილიტაცია.

(გ) ყველა შეტყობინების, რომელიც შშმ პირის მხრიდან რეაგირებას ან მოქმედებას საჭიროებს (მაგ. სასამართლო უწყება, მოწმედ დაბარება, სასამართლო ბრძანება, გადაწყვეტილება, მსჯავრი), 4.1 პუნქტში ჩამოთვლილ ფორმატში მისაწვდომობის უზრუნველყოფა;

(დ) პროცედურის მუშაობის, პროცესის მიმართ შესაძლო მოლოდინების, პირის შესაძლო ქმედებების, სასამართლო პროცესისა და ამ პროცესში უფლებების შესახებ დახმარების მიღების შესახებ ყველა შეტყობინებისა და ინფორმაციის ნათელი და მარტივი ფორმით, გასაგები, მარტივი ენით წარმოდგენა, რომელიც უბრალოდ კანონის, რეგულაციის, პოლიტიკის დოკუმენტის ან სახელმძღვანელო მითითების ციტირებას არ ახდენს;

(ე) სასამართლო შეტყობინების და ინფორმაციის გაგებაში მხარდაჭერის შესაძლებლობის რეალურად უზრუნველყოფა იმ პირებისთვის, ვისაც სჭირდება დახმარება. მაგალითად, როგორიცაა თარჯიმანის, გამცილებლის, წამკითხველის, შუამავლის და ფასილიტატორის ან სხვა მსგავსი ფორმის დახმარება.

პრინციპი 5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სხვებთან თანასწორად, სარგებლობენ ყველა მატერიალური და პროცედურული დაცვის ზომებით, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლით და სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საჭირო მისადაგება სათანადო სამართლიანი პროცესის რეალიზებისთვის

სახელმძღვანელო მითითება

5.1 სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყველა საერთაშორისო სამართლით, იქნება ეს სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საპროცესო, აღიარებული მატერიალური და საპროცესო დაცვის ზომების, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და დუმილის უფლების გამოყენების, მისაწვდომობა ყველა შშმ პირისთვის სხვებთან თანასწორად. პროცედურული მისადაგება საჭიროების შემთხვევაში მისაწვდომი უნდა იყოს ყველა შშმ პირისთვის, მათ შორის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულისთვის, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ გამოძიებაში და მართლმსაჯულების პროცესებში ეფექტური მონაწილეობისთვის.

5.2 შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა:

(ა) უზრუნველყონ, რომ ყველა შშმ ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირი იყოს უდანაშაულოდ მიჩნეულნი მანამ, სანამ მისი დანაშაული არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით;

(ბ) ყველა შშმ ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირისთვის უზრუნველყოს მისაწვდომი და გასაგები ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, მათ შორის, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისგან დაცვის უფლების შესახებ;

(გ) უზრუნველყონ, რომ პასუხისმგებელ პირებთან ყველა ინტერაქციისას, შშმ პირები დაცული იყვნენ დისკრიმინაციისგან და შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე იძულების და ზეწოლის ნებისმიერი ფორმის გამოყენებისგან - მაგალითად, აღქმები მათი ქცევის და კომუნიკაციის ფორმების განსხვავებულობის შესახებ - მათ შორის, ადეკვატური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით, რომელიც არ უკავშირდება და დამოუკიდებელია პოლიციის ან სამართალდამცავი ორგანოების ჩარევისგან;

(დ) დაკავების დროს, შშმ პირები უზრუნველყონ პროცედურული მისადაგებით, მათ შორის პროცედურული ცვლილებები და კომუნიკაციაში მხარდაჭერა საჭიროებისამებრ დეესკალაციის ტექნიკის გამოყენება, იმისთვის, რომ დაცული იყოს სამართლიანი პროცესის გარანტიები და თავიდან იქნეს აცილებული პოლიციის მხრიდან ძალადობის შემთხვევები;

(ე) უზრუნველყონ, შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით, მართლმსაჯულების ნებისმიერ ეტაპზე შშმ პირების ექსპლუატაციისგან დასაცავად კანონების, რეგულაციების, სახელმძღვანელო მითითებების, პროცედურების და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, მიღება და აღსრულება;

(ვ) უზრუნველყონ პროცედურული მისადაგების, მათ შორის, ეფექტური მონაწილეობის მისაწვდომობა ისე, რომ შშმ პირებს ჰქონდეთ უფლება, სხვებთან თანასწორად, გააკეთონ არჩევანი საკუთარი თავის დაცვის შესახებ;

(ზ) უზრუნველყონ ჯანდაცვისა და ფსიქო სოციალური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნის შემთხვევაში, მათი თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, პოლიციის ნებისმიერი ქმედების ან სასამართლო პროცესის შედეგის მიუხედავად. აღნიშნული არ შეიძლება იყოს საპროცესო შეთანხმების, აღიარებითი ჩვენების ან მსჯავრდების პირობა.

პრინციპი 6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ უფლება ისარგებლონ უფასო ან შეღავათიანი იურიდიული დახმარებით

სახელმძღვანელო მითითება

6.1 სამართლიანი სასამართლოს უფლების დასაცავად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ უფასო ან ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარება შშმ ბავშვებისთვის ნებისმიერ საქმეში და ყველა სხვა შშმ პირისთვის სასამართლოს ყველა პროცედურაში, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების დარღვევასთან, ან რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ამ უფლებებსა და თავისუფლებებზე, კონკრეტულად კი სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, ქონებრივი უფლების, ადეკვატური საცხოვრისის, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე. იურიდიული დახმარება უნდა იყოს კომპეტენტური და დროული შშმ პირებისთვის იმისთვის, რომ სხვებთან თანასწორად მიიღონ მონაწილეობა ყველა სამართლებრივ პროცედურაში.

6.2 ამისთვის, სახელმწიფოებმა უნდა:

(ა) მიიღონ და აღასრულონ კანონები, რეგულაციები, პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელო მითითებები და პრაქტიკა, რომელიც ადგენს იურიდიული დახმარების უფლებას ყველა სასამართლო და კვაზი სასამართლო პროცედურებში, მიუხედავად შშმ პირების როლისა პროცესში ან შესაძლო შედეგებისა;

(ბ) შექმნან, დააფინანსონ და აღასრულონ იურიდიული დახმარების პროგრამები, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს უფასო იურიდიული დახმარება იმ პირებისთვის, ვისთვის არ არის ფინანსურად მისაწვდომი იურიდიული დახმარება, მათ შორის, შშმ პირებისთვის, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, სადაც არსებობს ისეთი რისკები, როგორიცაა:

(i) სიცოცხლის ან თავისუფლების შეზღუდვა, მათ შორის, პატიმრობის, დაკავების, დაწესებულებაში განთავსების, იძულებითი ან არა ნებაყოფლობითი სამედიცინო მკურნალობის (მაგ. სტერილიზაცია) ან არა ნებაყოფლობითი ჰოსპიტალიზაციის შედეგად; ან ოჯახის ერთიანობის დარღვევა ან ოჯახის მთლიანობის დაკარგვა მშობლის ან მეურვეობის უფლებების ჩამორთმევით;

(ii) საცხოვრისის, თავშესაფრის ან ქონების დაკარგვა;

(iii) ნებისმიერი სხვა სიტუაცია, მათ შორის, ყველა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც არ შეიცავს პატიმრობის რისკს, მცირე დავები და სამოქალაქო საქმეები, სადაც პროცესის მიმდინარეობისას შშმ პირს აქვს კომუნიკაციის, გაგების ან სრულყოფილად მოსმენის პრობლემა;

(გ) უზრუნველყონ, სახელმძღვანელო მითითება 6.2-ში წარმოდგენილ საკითხებთან ერთად, უფასო იურიდიული დახმარება შშმ პირებისთვის სხვებთან თანასწორი პირობებით და საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული იყოს ინდივიდუალიზებული პროცედურული მისადაგება;

(დ) უზრუნველყონ, იურიდიულ დახმარებასთან ერთად, იურიდიული რჩევის მისაწვდომობა, მაგალითად სატელეფონო ან ციფრული სერვისები, თანაშემწის მომსახურება და ონლაინ იურიდიული დახმარების სერვისები, საჭიროების შემთხვევაში კი დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენება;

(ე) გააუქმონ ან შეცვლონ ნებისმიერი კანონი, რეგულაცია, პოლიტიკის დოკუმენტი, სახელმძღვანელო მითითებები ან პრაქტიკა, რომელიც ზღუდავს შშმ პირების ქმედუნარიანობას აიყვანონ ადვოკატი და მისცენ მათ მითითებები;

(ვ) უზრუნველყონ იურიდიულ დახმარებაზე მარტივი მისაწვდომობა, ყველა ადმინისტრაციული, საკომუნიკაციო და ფიზიკური ბარიერების მოხსნით;

(ზ) უზრუნველყონ მსხვერპლებისთვის სპეციალიზებული სერვისების (მაგ. სპეციალური განყოფილება გენდერული ძალადობის საქმეებზე) თანაბრად მისაწვდომობა შშმ პირებისთვის;

(თ) უზრუნველყონ ადვოკატებისთვის პროცედურული მისადაგების, ისეთი როგორიცაა თარჯიმანი, დამხმარე ტექნოლოგიები, შუამავლები და ფასილიტატორები ან ამ მისადაგებისთვის საჭირო რესურსების გამოყოფა იმ მიზნით, რომ მოხდეს პროფესიული ვალდებულებების განხორციელებისას ეფექტური კომუნიკაციის დამყარება კლიენტებთან, მოწმეებთან და სხვა შშმ პირებთან;

(ი) საჭიროებისამებრ შეცვალონ ეთიკის და სხვა რეგულაციები, რომელიც ეხება ადვოკატებს იმ მიზნით, რომ პატივი სცენ და დაიცვან საკუთარი შშმ კლიენტების ნება და სურვილები და იმოქმედონ მათ მიერ გამოხატული ინსტრუქციების შესაბამისად; ნებისმიერი კანონი, რეგულაცია, პოლიტიკის დოკუმენტი, სახელმძღვანელო მითითება ან პრაქტიკა, რომელიც ამ მოთხოვნასთან წინააღმდეგობაშია უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს;

(კ) გააუქმონ ან შეცვალონ ყველა ის კანონი, რეგულაცია, პოლიტიკის დოკუმენტი, სახელმძღვანელო მითითება და პრაქტიკა, რომელიც სასამართლო პროცედურებში უშვებს შშმ პირთა ნების ჩანაცვლებას, მათ შორის ისეთი წარმომადგენლის დანიშვნას, რომელიც ეწინააღმდეგება შშმ პირის ნებას და სურვილებს (მაგ. მეურვე-წარმომადგენელი სასამართლო საქმეში, ან სხვა პირი); ან გადაწყვეტილებები, რომელიც მიიღება შშმ პირის „საუკეთესო ინტერესების“ საფუძველზე და არა შშმ პირის „სურვილების“ საფუძველზე;

(ლ) უზრუნველყონ უფასო იურიდული დამხარება და მხარდაჭერა ყველა შშმ პირისთვის, ვინც განიცადა ძალადობა, განსაკუთრებით კი შშმ ქალებისა და გოგოებისთვის, მათ შორის მათთვის პროფესიონალი მხარდამჭერის დანიშვნის, სამართლებრივი უფლებების შესახებ იურიდიული კონსულტაციების, დანაშაულის შეტყობინებისას და სხვა სამართლებრივ პროცესში დახმარების გზით.

პრინციპი 7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვებთან თანასწორად, აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში

სახელმძღვანელო მითითება

7.1 მართლმსაჯულების თანასწორი მისაწვდომობის უფლება მოითხოვს, რომ შშმ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პირდაპირ მიიღონ მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესებში და შეასრულონ სხვადასხვა ფუნქციები მართლმსაჯულების ადმინისტრირების პროცესში სხვებთან თანასწორად. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შშმ პირებს მიეცეთ შესაძლებლობა დისკრიმინაციის გარეშე გახდნენ მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები, მოწმეები, ნაფიცი მსაჯულები, ექსპერტები და სასამართლოს თანამშრომლები.

7.2 ამისთვის, მთავრობებმა, საკანონმდებლო ორგანოებმა და სხვა უწყებებმა, მათ შორის, სასამართლო სისტემის მაკოორდინებელმა ორგანომ და სხვა დამოუკიდებელმა, მართლმსაჯულების სისტემის მართვის ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უნდა გაატარონ შემდეგი ღონისძიებები:

(ა) აღმოფხვრან შშმ პირების მართლმსაჯულების სისტემაში შემავალი პროფესიების დაკავებისგან ხელის შემშლელი ბარიერები, მაგალითად, ისეთი მექანიზმებით როგორიცაა:

(i) გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა იურიდიული და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების სრულ სპექტრში;

(ii) გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა გამოცდების ან სერტიფიცირების და ლიცენზირების დროს;

(iii) იურიდიულ პროფესიაში შესვლის და მართლმსაჯულების სისტემაში პოზიციის დაკავებისთვის საჭირო განაცხადებში ჯანმრთელობის და შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ შეკითხვების აკრძალვა;

(iv) უზრუნველყონ მართლმსაჯულების სისტემაში შემავალი ყველა ინფრასტრუქტურის და გამოსაყენებელი სივრცის უნივერსალური მისაწვდომობა შშმ თანამშრომლებისთვის.

(ბ) შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ყველა ბარიერის მოხსნა, მათ შორის, კანონების ცვლილება, რომლებიც ხელს უშლის შშმ პირს გახდეს მოსამართლე ან ნაფიცი მსაჯული ან დასაქმდეს სხვა ნებისმიერ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ პოზიციებზე;

(გ) უზრუნველყონ შშმ პირების თანასწორი ჩართულობის უზრუნველყოფა ნაფიც მსაჯულთა სისტემაში ყველა სახის მხარდაჭერის, გონივრული და პროცესურული მისადაგების გამოყენების გზით;

(დ) უზრუნველყონ შშმ პირებთან ახლო კონსულტაციები და შშმ პირების და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა მართლმსაჯულების შესახებ ყველა დისკუსიაში და გადაწყვეტილების მიღე-

ბის პროცესში, მაგალითად საბჭოებში, კომიტეტებში, და სხვა ხელმძღვანელობითი და მონიტორინგის ფუნქციის მქონე ორგანიზაციებში;

(ე) სათანადო (სრულყოფილი) მონაცემების შეგროვებით უზრუნველყონ შშმ პირების მონაწილეობა მართლმსაჯულების სისტემაში და ამ მონაცემების გამოყენება იმ სტრატეგიების შემუშავების და შესრულებისთვის, რომლის მიზანია პოლიტიკის, პრაქტიკის და კანონების რეფორმირება მართლმსაჯულების თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პრინციპი 8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ უფლება წარადგინონ საჩივრები და დაიწყონ სამართლებრივი პროცედურები ადამიანის უფლებების დარღვევაზე და დანაშაულზე, მოითხოვონ მათი საჩივრების გამოძიება და ისარგებლონ ქმედითი სამართლებრივი მექანიზმებით

სახელმძღვანელო მითითება

8.1 სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ მისაწვდომი, ადვილად გამოყენებადი, გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმი იმისთვის, რომ პირებმა წარადგინონ საჩივრები ადამიანის უფლებების დარღვევაზე და დანაშაულზე. საჩივრის განმხილველმა ორგანოებმა და ტრიბუნალებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო უფლების დაცვის გარანტიები/მეანიზმები, რომელიც მორგებულია ინდივიდზე და მოიცავს დარღვეული უფლების აღდგენის და კომპენსირების საშუალებებს.

8.2 შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა:

გასაჩივრების მექანიზმები

(ა) შექმნან გასაჩივრების მექანიზმები – მაგალითად, ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტები, ტრიბუნალები და ადმინისტრაციული ორგანოები - რომლებსაც ექნებათ საჩივრების განხილვის უფლებამოსილება, მათ შორის, შშმ პირების და სხვების მიერ წარდგენილი შეზღუდული შესაძლებლობის საფუძვლით დისკრიმინაციის შესახებ და ექნებათ ეფექტური დაცვის საშუალებები;

(ბ) უზრუნველყონ შშმ პირების შესაძლებლობა განაცხადონ სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ სხვების თანასწორად;

(გ) უზრუნველყონ სისხლის და სამოქალაქო სამართლის საჩივრების მექანიზმების მისაწვდომობა, მაგალითად ცხელი ხაზის და გასაჩივრების ელექტრონული სერვისების მეთოდებით;

(დ) უზრუნველყონ ნებაყოფლობითი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები, როგორიცაა შერიგება, მედიაცია, არბიტრაჟი და აღდგენითი მართლმსაჯულება;

(ე) უზრუნველყონ გასაჩივრების მექანიზმის და საგამოძიებო სისტემების გენდერული მგრძნობელობა იმისთვის, რომ გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლებმა შეძლონ უსაფრთხოდ მოქმედება;

(ვ) უზრუნველყონ დაცვის სპეციალური განყოფილებების (მაგ. გენდერული ნიშნით ძალადობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ბავშვების და ტრეფიკინგის საქმეებზე) მისაწვდომობა შშმ პირებისთვის, და სათანადო რეაგირება მათ საჭიროებებზე;

(ზ) საჭიროების და სურვილის შემთხვევაში უზრუნველყონ ანონიმურობის და კონფიდენციალობის დაცვა საქმეთა შესწავლის დროს.

(თ) მძიმე, სისტემურ, ჯგუფურ და ფართომასშტაბიან დარღვევებზე რეაგირება

(ი) უზრუნველყონ გასაჩივრების მექანიზმის და მართლმსაჯულების სისტემის მიერ ადამიანის უფლებების მძიმე, სისტემური, ჯგუფური და ფართომასშტაბიანი დარღვევების გამოვლენა და მათზე რეაგირება, მაგალითად ისეთი საშუალებებით როგორიცაა კოლექტიური სარჩელი, (, საჩივრის საჯარო განხილვები (Public inquiries) და გამოძიება კონკრეტული საჩივრების საფუძველზე ან სისტემის მხრიდან ინიცირებული პროცედურების საფუძვლეზე.

გამოძიება

(კ) უზრუნველყონ, რომ ყველა გამომძიებლი, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლი სრულად ინფორმირებული იყოს შშმ პირების უფლებების შესახებ და გამოძიების დროს ყურადღება გამახვილონ მთელი პროცესის განმავლობაში, შშმ პირებისთვის პროცედურული მისადაგების შესაძლო საჭიროებებზე;

(ლ) უზრუნველყონ, საჭიროების შემთხვევაში, გამოძიების პროცესის ხელშეწყობისთვის შუამავლის ან ფასილიტატორის ან სხვა შესაფერისი მესამე მხარის ჩართვა;

(მ) უზრუნველყონ, შშმ მსხვერპლებთან მუშაობისას სამართალდამცავი უწყებების მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკების შეფასება და ნებაყოფლობითი დამცავი ზომების გამოყენება (მაგალითად როგორიცაა უსაფრთხო თავშესაფარი);

უფლების დაცვის საშუალებები

(ნ) უზრუნველყონ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯა და სხვა ეფექტური სანქციების დაკისრება შშმ პირთა მიმართ დანაშაულის ან სხვა არასათანადო მოპყრობის გამო;

(ო) უზრუნველყონ ეფექტური დაცვის მექანიზმების არსებობა ადამიანის უფლებების დარღვევისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძვლით დისკრიმინაციისგან შემთხვევებში, და უზრუნველყონ უფლების აღდგენის და კომპენსირების სათანადო მექანიზმების არსებობა. ეს გარანტიები, მათ შორის, უნდა:

(i) იყოს აღსრულებადი, ინდივიდუალური და მომჩივანის საჭიროებებზე მორგებული;

(i) უზრუნველყოფდეს მსხვერპლის დაცვას ადამიანის უფლებების განმეორებითი დარღვევისგან;

(ii) იყოს ყველა საქმეში გარემოებების და დანაშაულის სიმძიმის პროპორციული;

(iii) ნებისმიერი რეაბილიტაციის ზომის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს შშმ პირის თავისუფალ და ინფორმირებულ ნებას;

(iv) პასუხობდეს ადამიანის უფლებების დარღვევების სისტემურ ბუნებას.

პრინციპი 9. ეფექტური და ქმედითი მონიტორინგის მექანიზმს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის მხარდაჭერის პროცესში

სახელმძღვანელო მითითება

9.1 სახელმწიფოს აქვს ვალდებულება გამოყოს დამოუკიდებელი უწყებები შშმ პირთა უფლებების წახალისების, დაცვისა და მონიტორინგისთვის და მათთვის მართლმსაჯულების თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. დამოუკიდებელი მონიტორინგისთვის სახელმწიფოებმა უნდა გამოყონ საჭირო რესურსები და მანდატი მონიტორინგის მექანიზმის შესაქმნელად ან შექმნან ახალი, როდესაც მსგავსი არ არსებობს.

9.2 შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ შემდეგი მოქმედებები:

(ა) გამოყონ დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმები ისე, როგორც ეს დადგენილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 33 (2), მუხლით მათ შორის ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების მექანიზმის შექმნა და მხარდაჭერა იმ პრინციპების შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტების გაძლიერებას (პარიზის პრინციპები) და რომლის მანდატიც იქნება კონვენციის აღსრულების მონიტორინგი;

(ბ) უზრუნველყონ მონიტორინგის ყველა მექანიზმის ინსტიტუციური, ფინანსური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა;

(გ) მხარი დაუჭირონ მონიტორინგის მექანიზმებს შორის ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას, საერთო საკითხებზე გამოწვევების იდენტიფიცირების და სტრატეგიების იმპლემენტაციის მიზნით;

(დ) უზრუნველყონ შშმ პირების და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების არსებითი/ქმედითი მონაწილეობა მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმების შემუშავების და იმპლემენტაციის პროცესში;

(ე) გაითვალისწინონ თავისუფლება შეზღუდული და სპეციალურ დაწესებულებებში განთავსებული შშმ პირების უფლებების დარღვევის გამოვლენის და აქტიური მონიტორინგის საკითხები;

(ვ) მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმის მანდატში ადამიანის უფლებების დარღვევების, მათ შორის მართლმსაჯულების მისაწვდომობის ბარიერების შესახებ მონაცემების შეგროვება და საჯაროდ ანგარიშგების უზრუნველყოფა;

(ზ) შეზღუდულ შესაძლებლობაზე ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის მანდატის მიცემა და დაფინანსება. ამ მიზნისთვის ტრენინგ პროგრამის მხარდაჭერა.

პრინციპი 10. მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე ყველა პირმა უნდა გაიაროს ცნობიერების ამაღლების და გადამზადების პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ, მართლმსაჯულების მისაწვდომობაზე აქცენტით

სახელმძღვანელო მითითება

10.1 სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან შშმ პირების წინაშე არსებული მართლმსაჯულების მისაწვდომობის ხელშემშლელი ყველა ბარიერი, შშმ პირების უფლებების შესახებ ტრენინგების ორგანიზებით მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლებისთვის, მათ შორის, პოლიციის ოფიცრების, მოსამართლეების, ადვოკატების, სასამართლო ექსპერტების, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების, სოციალური მუშაკების და პრობაციის, ციხის და არასრუწლოვანთა სარეაბილიტაციო (პენიტენციური) დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის.

10.2 ამისთვის, მთავრობებმა, საკანონმდებლო ორგანოებმა და სხვა უწყებებმა მათ შორის, სასამართლოების მართვის ორგანოებმა, მართლმსაჯულების სხვა დამოუკიდებელმა ორგანიზაციებმა, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელმა თვითრეგულირებადმა ორგანიზაციებმა, ყველამ სათითაოდ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უნდა განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

(თ) მიიღონ და აღასრულონ კანონები, რეგულაციები, პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელო მითითებები და პრაქტიკა, რომლებიც შექმნის საკანონმდებლო ვალდებულებას ყველა იმ პირისთვის, ვისაც რაიმე როლი ეკისრება მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში, გაიარონ შშმ პირების უფლებებთან დაკავშირებული ტრენინგები, რომელიც განხორციელდება სახელმძღვანელო მითითება 10.2 (კ) შესაბამისად;

(ი) განგრძობადი ტრენინგის ორგანიზება ყველა იმ პირისთვის, ვინც დასაქმებულია მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში, მათ შორის, ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებში და შშმ პირების წარმომადგენლობით ორგანიზაციებში;

(კ) უზრუნველყონ შშმ პირების და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა ყველა იმ ტრენინგის დაგეგმვასა და და განხორციელებაში, რომელიც ამ სახელმძღვანელო მითითებებშია დადგენილი;

(ლ) უზრნველყონ ტრენინგის მონიტორინგი და შეფასება და ამ პროცესში შშმ პირების და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა და აქტიური ჩართულობა;

(მ) ადამიანის უფლებების მოდელზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის შესახებცნობიერების ამაღლების სტრატეგიების განხორციელება, რომელიც მოიცავს სასწავლო პროგრამებს და მედია კამპანიას ყველა სასამართლოს მოხელისთვის, კანონმდებლისთვის, პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებისთვის, სამართალდამცავი ორგანოების წარმო-

მადგენლებისთვის, ცრურწმენების აღმოსაფხვრელად და უფლებების აღიარების ხელშესაწყობად.

(ნ) სასწავლო მოდულების ფართოდ მისაწვდომობის უზრუნველყოფა მათთვის, ვინც მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში არიან ჩართულნი, განსაკუთრებით კი პოლიციის ოფიცრებისთვის, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის;

(ო) ტრენინგების გამოყენება პოლიციის ოფიცრების, მათ შორის ოპერატიულ რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირების, გამომძიებლების, პროკურორების და მოსამართლეებისთვის შშმ პირებთან ურთიერთობის შესახებ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, მათ შორის, სამართლებრივი რეაგირების, ქცევის და უფლების სათანადო მისადაგებების საჭიროების შესახებ;

(პ) ადვოკატების და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სახელმძღვანელო მითითებების და ტრენინგების შემუშავება, დაფინანსება და აღსრულება შშმ პირების უფლებების და პროცედურული მისადაგების შესახებ ისე, როგორც დადგენილია 10.2 (კ) სახელმძღვანელო მითითებით;

(ჟ) შშმ პირებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის ტრენინგების და ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა უფლებების, უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმების, გასაჩივრების საშუალებების და სამართლებრივი პროცესის შესახებ;

(რ) ტრენინგ პროგრამების კომპლექსურობის უზრუნველყოფა მინიმუმ შემდეგ საკითხებზე:

(i) ის ფაქტორები და სისტემური მახასიათებლები, რომელმაც შეიძლება შექმნას ბარიერები შშმ პირებისთვის;

(ii) შშმ პირებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობისთვის ბარიერების აღმოფხვრა;

(iii) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია** და შეზღუდული შესაძლებლობის გაგება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მოდელით;

(iv) შშმ პირის კანონის წინაშე თანასწორობის უფლების აღიარება, მათ შორის ბრძოლა მავნე გენდერული და შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სტერეოტიპების და წინასწარ შექმნილი ცუდი განწყობების წინააღმდეგ;

(v) შშმ პირების ქმედუნარიანობის აღიარება და პატივისცემა, მათ შორის სამართლსუბიექტობა და დარღვეულ უფლებათა გასაჩივრების უფლება;

(vi) კომუნიკაციის უნარები, მათ შორის, კომუნიკაციაში დასახმარებლად ექსპერტების მონაწილეობის საჭიროების იდენტიფიცირება;

(vii) სიტუაციის განმუხტვა და ძალის გამოყენების პრევენციის მეთოდები;

(viii) პროცედურული მისადაგება;

(ix) გონივრული მისადაგება;

(x) ეიბლიზმთან ბრძოლა და შშმ პირთა მიმართ არსებული ცრუ რწმენების დაძლევა;

(xi) სექსუალური, რეპროდუქციული და ოჯახური ცხოვრების უფლება;

(xii) ინტერსექციული დისკრიმინაცია - ანუ შშმ პირის მიმართ დისკრიმინაცია როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ისე სხვა ნიშნით, როგორიცაა სქესი, გენდერი, რასა, სექსუალური ორიენტაცია, მიგრაცია, უმცირესობის წარმომადგენელობა, სიღარიბე და სხვა.

(xiii) შშმ პირებისთვის ინფორმაციაზე თანაბარი მისაწვდომობის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

შეზღუდულ შესაძლებლობებზე ორიენტირებული დოკუმენტები და სტანდარტები

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 1 (2014) კანონის წინაშე თანასწორობის უფლების შესახებ
- ზოგადი კომენტარი No. 2 (2014) მისაწვდომობის შესახებ
- ზოგადი კომენტარი No. 3 (2016) შშმ ქალებისა და გოგოების შესახებ
- ზოგადი კომენტარი No. 6 (2018) თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ
- ზოგადი კომენტარი No. 7 (2018) კონვენციის აღსრულებისა და მონიტორინგის პროცესში შშმ პირების, მათ შორის შშმ ბავშვების მონაწილეობა, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია** (2006)
- ეილიონორ ფლინი და სხვები, საბოლოო ანგარიშიმართლმსაჯულების მისაწვდომობა შშმ პირებისთვის. გალუეი: შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ სამართლისა და პოლიტიკის ცენტრი, ირლანდიის ეროვნული უნივერსიტეტი, გალუეი, 2019
- G3ict (ინკლუზიური ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გლობალური ინიციატივა), ინკლუზიური სასამართლოების საკონტროლო სია ატლანტა, 2020
- გაერო, გენერალური ასამბლეა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები. 9 აგვისტო 2016 A/71/314
- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და შშმ ქალების და ახალგაზრდა გოგოების უფლებები. 14 ივლისი 2017 A/72/133
- გაერო, ადამიანის უფლებების საბჭო, სპეციალური მომხსენებლის ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე. 12 იანვარი 2016 A/HRC/31/62
- სპეციალური მომხსენებლის ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე 20 დეკემბერი 2016. A/HRC/34/58
- სპეციალური მომხსენებლის ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე. 12 დეკემბერი 2017 A/HRC/37/56
- მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცის მე-13 მუხლის მიხედვით** 27 დეკემბერი 2017. A/HRC/37/25

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები** 11 იანვარი 2019. A/HRC/40/54

- გაერო, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის** ადამიანის უფლებების ინდიკატორები, მუხლი 13, 2020 (სამომავლო)

მართლმსაჯულების მისაწვდომობაზე ზოგადი დოკუმენტები და სტანდარტები მექანიზმები (მიღების თარიღის მიხედვით)

„რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია (1965), მუხლები 5 და 6.

- რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 31 (2005) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირებაში რასობრივი დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ.

საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966), მუხლები 2, 9, 14 და 26.

- ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 32 (2007) სასამართლოს წინაშე თანასწორობის და სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (1979), მუხლები 2 და 15.

- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია No. 33 (2015) ქალებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის შესახებ.

კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ (1985), მუხლები 13 და 14.

- წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 3 (2012) მე-14 მუხლის აღსრულების შესახებ.

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989), მუხლები 12, 23, 37 და 40

- ბავშვის უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 24 (2019) ბავშვის უფლებების და ბავშვთა მართლმსაჯულების სისტემის შესახებ.

შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენცია (1990), მუხლები 16-დან 20-მდე.

საერთაშორისო კონვენცია ადამიანების იძულებითი გაუჩინარების შესახებ (2006), მუხლი 24.

სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები (მიღების თარიღის მიხედვით)

ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (1985).

დეკლარაცია მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ დანაშაულის და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის (1985).

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ("პეკინური წესები") (1985).

ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპები (1988).

გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ (1990).

სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ (1990).

გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების შესახებ" (ტოკიოს წესები) (1990).

თავისუფლებაღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის გაეროს წესები (1990).

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვზე ზრუნვის სახელმძღვანელო მითითებები (1997).

ზოგადი პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევების მსხვერპლთა დახმარების და რეპარაციის უფლების შესახებ (2005).

დაუსჯელობასთან ბრძოლის გზით ადამიანის უფლებათა დაცვისა და პოპულარიზაციის განახლებული პრინციპების კრებული (2005).

გაეროს დეკლარაცია მოწყვლადი ადამიანების უფლებების შესახებ (2007), მუხლები 22 და 40.

გაეროს წესები ქალ პატიმრებთან მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა მიმართ არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, ,,ბანგკოკის წესები" (2010).

გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში იურიდიული დახმარების მისაწვდომობის შესახებ (2012).

გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (,,ნელსონ მანდელას წესები") (განახლებული, 2015).

საერთაშორისო სტანდარტები გამოყენებული შეიარაღებული კონფლიქტების დროს:

ICRC კვლევა ჩვეულებით საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე, წესი 100: "არავინ შეიძლება იყოს ნასამართლევი ან დაეკისროს სასჯელი, გარდა სამართლიანი სასამართლო პროცესისა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა არსებით სასამართლო გარანტიას."

1949 ჟენევის კონვენცია III, ომის პატიმრების ძირითადი უფლებების შესახებ, მუხლები 3, 102- 108.

1949 ჟენევის კონვენცია IV ომის დროს მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვის შესახებ, მუხლები 3, 5, 66, 71.

ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმი, 12 აგვისტო 1949, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ (ოქმი I) (1977), მუხლი 75(4).

ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმი, 12 აგვისტო 1949, არა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ (Protocol II) (1977), მუხლი 6.

რეგიონალური ინსტრუმენტები:

ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია (1986), მუხლები 7 და 26.

პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები აფრიკაში სამართლიანი სასამართლოს და იურიდიული დახმარების უფლების შესახებ (აფრიკის ადამიანის და ხალხთა უფლებების კომისია, 2005).

ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკული დეკლარაცია (OAS გენერალური ასამბლეა, 1948), მუხლები II, XVIII, XXVI.

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (1969), მუხლები 8, 24 და 25.

ადამიანის უფლებების და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1950), მუხლები 6 და 13.

ევროკავშირის დირექტივა 2012/29/EU დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების, მხარდაჭერის და დაცვის მინიმალური სტანდარტების დადგენის შესახებ (2012).

ადამიანის უფლებების არაბული ქარტია (2004), მუხლები 11-დან 19, 23.